COVID-19-ის პანდემიური ეკონომიკური კრიზისის და საქართველოს ეკონომიკის რეორიენტირების შესახებ

ვლადიმერ პაპავა

აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელზე გადასვლა

2020 წლიდან მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, როცა ახალი ვირუსი (COVID-19) მასობრივად გავრცელდა და ამის გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გენერალურ-მა დირექტორმა ტედროს ადანომ გებრეისუსმა 11 მარტს მისი გავრცელება პანდემიად აღიარა.[1]

საყურადღებოა, რომ მედიცინას ურთულესი გამოწვევა გაუჩნდა – მას თავიდანვე არ გააჩნდა და, სამწუხაროდ, დღემდე არ გააჩნია უშუალოდ ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატი, ხოლო შესაბამისი ვაქცინის შექმნას, როგორც ვირუსის გავრცელებისთანავე ითქვა, სავა-რაუდოდ, სულ ცოტა, წელიწად-ნახევარი მაინც დასჭირდება. გასათვალისწინებელია, რომ მედიკოსებმა არც ის იციან ზუსტად, როგორია ვირუსის ქცევა. ამ ეპიდემიოლოგიური პრობლემის მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ მისი ზეგავლენა ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს შეეხო.

ფაქტია, რომ ბევრმა ქვეყანამ COVID-19-ის გავრცელებას და თავად დაავადების სირთუ-ლეს სერიოზულად არ შეხედა, რის გამოც გვიან მიიღო ადამიანების ქცევის მეტ-ნაკლებად ქმედითი შემზღუდავი ზომები. ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, ბრაზილია და ისინი საკმაოდ დაზარალდნენ კიდეც ამის გამო. ცალკე უნდა აღინიშნოს შვედეთი და ბელარუსი, რომლებმაც არ შემოიღეს არანა-ირი შემზღუდავი ზომები, თუმცა შვედეთმა მოგვიანებით აღიარა, რომ საკმაოდ რთული შედეგები მიიღეს. რაც შეეხება ბელარუსს, იქ არსებული რეალური სიტუაციის შეფასება გართულებულია მმართველობის ავტორიტარული რეჟიმის გამო, რომელიც მკაცრად ზღუდავს მისთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელებას.

1. *WHO Director-General's Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 - 11 March 2020*, 'World Health Organization' (11.03.20). https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020 (12.08.2020).

ავტორიტარული რეჟიმების მცდელობა, დაემალათ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაცია, სულაც არ იყო მოულოდნელი, თუმცა მას მერე, რაც ვირუსის გავრცელებამ აშკარად მასშტაბური ხასიათი მიიღო, ზოგიერთ მათგანს მაინც მოუწია ეღიარებინა, რომ საკმაოდ მძიმე ეპიდემიური სიტუაცია ჰქონდა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ირანი და რუსეთი - მათ ვერ შეძლეს არსებითად გაეზარდათ საკუთარი ინფორმაციის მიმართ ნდობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ვირუსი უშუალოდ ადამიანებს შორის კონტაქტით ვრცელდება, აუცილებელი გახდა ამ კონტაქტების შეზღუდვა, რასაც ქვეყნების უმრავლესობამ ადრე თუ გვიან მიმართა კიდეც.

ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტების შეზღუდვამ კი, თავის მხრივ, განაპირობა საქმიანობის გარკვეული ნაწილის ონლაინ-რეჟიმზე გადაყვანა. ამის თვალსაჩინო მაგალითია განათლების სფერო, როცა სკოლებში – გაკვეთილების, უნივერსიტეტებში ლექცია-სემინარების ჩატარება ონლაინ-რეჟიმზე გადავიდა.

ამ მეტ-ნაკლებად წარმატებული მაგალითის განვრცობა ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროზე უბრალოდ შეუძლებელია. ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტის შეზღუდვამ გამოიწვია საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ობიექტების დახურვა; შეჩერდა სამგზავრო ავია- და სარკინიგზო გადაზიდვებიც, საქალაქო ტრანსპორტი, მგზავრთა გადაყვანა საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით. საბოლოო ჯამში, შეჩერდა ყველა იმ ობიექტის ფუნქციონირება, სადაც ადამიანებს შორის კონტაქტი გარდაუვალი იყო. გამონაკლისის სახით, მათი განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნებადართულ იყო სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქების ფუნქციონირება, თუმცა ამ ობიექტების საქმიანობისთვის საგანგებოდ შემოიღეს გარკვეული წესები, რათა მეტ-ნაკლებად შეეზღუდათ ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტი.

ამ ზომების ერთობლიობამ გამოიწვია ეკონომიკის არაერთი სექტორის გაჩერება, რამაც სამუშაოს და შესაბამისი შემოსავლების გარეშე დატოვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. საბოლოო ჯამში კი, ჩამოყალიბდა ნამდვილი ეკონომიკური კრიზისი, თანაც არა ერთ ან ორ რომელიმე ცალკე აღებულ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს, სულ ცოტა, 200 სახელმწიფოში, რამაც განაპირობა მისი სრულმასშტაბიანი გლობალური ხასიათი.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემული ეკონომიკური კრიზისი თავისი არსით განსხვავდება ყველა იმ კრიზისისგან, რომლებიც უშუალოდ ეკონომიკაში ყალიბდებოდა და ამდენად, ეკონომისტებს ჰქონდათ იმის ადეკვატური ცოდნა, თუ რამ გამოიწვია ესა თუ ის კრიზისი და რა ზომები უნდა გატარებულიყო მათ საწინააღმდეგოდ.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები კი არ არის ეკონომიკაში და ამიტომ მისი დაძლევის ეკონომიკური მექანიზმები უბრალოდ არ არსებობს – ეკონომისტებს მხოლოდ იმის რჩევა შეუძლიათ მთავრობებისთვის, თუ რა ღონისძიებებია გასატარებელი უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისთვის და დროებით „დაკონსერვებული“ ბიზნესის გადასარჩენად.

შექმნილი კრიზისის დასაძლევად, უწინარეს ყოვლისა, მედიკოსებმა, მიკრობიოლოგებმა, ფარმაკოლოგებმა უნდა შეიმუშაონ უშუალოდ COVID-19-ის სამკურნალო საშუალებები და შექმნან შესაბამისი ვაქცინა. სანამ ეს არ გაკეთდება, მანამდე ეკონომიკური კრიზისი შეიძლება შესუსტდეს, თუმცა ვერ დასრულდება. მაშასადამე, თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის უმთავრესი თავისებურება ისაა, რომ ეკონომიკა მედიცინის მძევალი აღმოჩნდა.[2]

ეკონომიკის ისტორიაში ცნობილია სხვა შემთხვევებიც, როცა ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები არ იყო თავად ეკონომიკაში წარმოქმნილი. ამის თვალსაჩინო მაგალითებია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული ეკონომიკური კრიზისი და კომუნისტური რეჟიმების ჩამოშლის შედეგად გამოწვეული ვითარება. ძნელი დასანახი არ არის, რომ ეს ორივე მდგომარეობა თანამედროვე კრიზისისაგან პრინციპულად განსხვავდება. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული იყო ქალაქები, ინფრასტრუქტურა, რაც მოითხოვდა აღდგენას, თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში კი ამგვარი ნგრევა საერთოდ არ ყოფილა. პრინციპულად იგივე შეიძლება ითქვას კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ამ ჩამოშლას მოჰყვა ერთი ეკონომიკური სისტემიდან (მბრძანებლური ეკონომიკიდან) მეორეზე (საბაზრო ეკონომიკაზე) გადასვლა, თანამედროვე კრიზისის პირობებში კი საერთოდ არ მომხდარა ეკონომიკური სისტემის ცვლილება და პრობლემა გამოიწვია გარკვეული დროით შეჩერებულმა ეკონომიკამ.

სწორედ ამან განაპირობა მოცემული ეკონომიკური კრიზისის უნიკალურობა.[3] აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის აღსანიშნავად ახალი ტერმინიც კი შეიქმნა. კერძოდ, აჯით დე ალვისმა შრი-ლანკიდან შემოგვთავაზა ტერმინი „კორონომიკა“, რომელიც ორი ტერმინის – „კორონა“ და „ეკონომიკის“ გაერთიანებით მიიღება.[4] ამ ტერმინის გამოყენებით თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს შეიძლება ვუწოდოთ „კორონომიკური კრიზისი“.

კორონომიკის მნიშვნელობის ზრდას ისიც უწყობს ხელს, რომ მსგავსი გლობალური საფრთხეების გაჩენა სულაც არ არის გამორიცხული მომავალშიც, რის გამოც კაცობრიობის წინაშე დადგა ახალი გამოწვევა, რომ მან ისწავლოს ამგვარ პირობებში ცხოვრება და, უშუალოდ, ეკონომიკური საქმიანობა.[5]

2. Papava, V. *Coronomic Crisis: When The Economy Is a Hostage to Medicine*. ‘Eurasia Review’, 2020, March 29, https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/ (12.08.2020).
3. Ajili, W. *Pourquoi la crise Covid-19 est-elle aussi inédite?* ‘L’Economiste’, 2020, 1 mai, https://www.leconomistemaghrebin.com/2020/05/01/pourquoi-crise-covid-19-est-elle-aussi-inedite/ (12.08.2020).
4. de Alwis, A. *Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!* ‘Daily FT’, 2020, February 6, http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109 (12.08.2020).
5. Gigerenzer, G. *Why What Does Not Kill Us Makes Us Panic,* ‘Project Syndicate’, March 12, 2020, https://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03?barrier=accesspaylog (12.08.2020).

კორონომიკურმა კრიზისმა არაერთი კითხვა გააჩინა გლობალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება იმის გარკვევა, ხომ არ არის ეს კრიზისი გლობალიზაციის დასასრულის დასაწყისი, ხომ არ დადგა დრო, რომ მოხდეს დეგლობალიზაცია და ხელი შეეწყოს იზოლაციონიზმს, ხომ არ გახდა აუცილებელი, უარი ითქვას ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე?

ამ კითხვებზე პასუხი სულაც არ არის რთული, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პანდემია გლობალური ფენომენია, რის გამოც კორონომიკურმა კრიზისმა მთელი მსოფლიო მოიცვა, და პანდემიის დაძლევა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ის ქვეყნები, რომლებიც შეეწინააღმდეგებიან გლობალიზაციას, უფრო მეტად დაზარალდებიან.[6]

კორონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ღირებულებითი ჯაჭვებისა და მიწოდებათა ჯაჭვების რღვევა. ეს ჯაჭვები უმთავრესად ჩინეთის ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული. რადგანაც მომავალში COVID-19-ის მსგავსი ვირუსის წარმოქმნის პოტენციური საფრთხე ისევ და ისევ ჩინეთთანაა დაკავშირებული, ამან გამოიწვია ხსენებული ჯაჭვების დივერსიფიკაციის აუცილებლობა, რაც ორიენტირებული უნდა იყოს პოტენციური რისკების შემცირებაზე.[7]

ჩინეთიდან მსხვილი კომპანიების ქარხნების გატანის და მათთვის განთავსების ახალი ადგილის მოძიების პროცესში, სავარაუდოდ, იმ ქვეყნებს მიენიჭება უპირატესობა, რომლებსაც ერთდროულად ჩინეთთანაც აქვთ უკვე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება[8] და იმ ქვეყნებთანაც, რომელთა ბაზრებისთვისაც აწარმოებენ პროდუქციას ამ ქარხნებში.

ამ დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს ექმნება რეალური პერსპექტივა, გახდეს ჩინეთიდან გატანილი იმ ქარხნების ნაწილის ახალი განთავსების ქვეყანა, რომელთა პროდუქციის მოხმარებაც ძირითადად ევროპაში უნდა მოხდეს, რადგანაც საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება როგორც ევროკავშირთან[9] და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA),[10] ისე ჩინეთთანაც.[11]

6. Frankel, J., *Will the Coronavirus Trigger a Global Recession?* 'Project Syndicate', February 24, 2020, https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jeffrey-frankel-2020-02?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=11fa1362d7-sunday_newsletter_01_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc_cid=11fa1362d7&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog (12.08.2020).

7. Dervis K. and S. Strauss, *What COVID-19 Means for International Cooperation*, 'Project Syndicate', March 6, 2020, https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog (12.08.2020)

8. *China FTA Network*, 'Ministry of Commerce', PRC, 2020, http://fta.mofcom.gov.cn/english/fta_qianshu.shtml (12.08.2020).

9. *Georgia, EU Sign Association Agreement*, 'Civil.g', June, 27, 2014, https://old.civil.ge/eng/article.php?id=27417 (12.08.2020).

10. *Georgia Makes New European Free Trade Deal*, 'Agenda.ge', June 6, 2016, https://agenda.ge/en/ news/2016/1382 (12.08.2020).

11. *Georgia-China Free Trade Agreement Signed*, 'Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia', May 13, 2017, http://www.economy.ge/?page=news&nw=180&s=saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-shesaxeb-xelshekruleba-gaformdeba&lang=en (12.08.2020).

ამ საკითხებზე მსჯელობისას აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ჩინეთსა და ევროკავშირს შორის არ არსებობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და, დიდი ალბათობით, არც უახლოეს მომავალში ჩანს მისი მიღწევის შესაძლებლობა.

ამავდროულად, აშშ-სა და ჩინეთს შორის იმდენადაა დაძაბული ურთიერთობები, რომ მათ შორის არა თუ თავისუფალ ვაჭრობაზე ფიქრია შესაძლებელი, არამედ აშკარაა მათ შორის მიმდინარე სავაჭრო ომი,[12] რაც თანამედროვე მსოფლიოს არაერთ სირთულეს უქმნის.[13]

აშშ-სა და ჩინეთს შორის შექმნილი არასახარბიელო ურთიერთობის ფონზე, საქართველოსთვის მომგებიანია ის გარემოება, რომ აქვს მეტ-ნაკლებად რეალური პერსპექტივა, ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აშშ-სთანაც.[14]

ამ კონტექსტში კი იბადება უმთავრესი კითხვა: რამდენადაა საქართველო მზად, რომ მართლაც გახდეს ჩინეთიდან გატანილი საწარმოების ნაწილის განთავსების ახალი ქვეყანა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა იყო წლების განმავლობაში და დღესაც რა რჩება საქართველოს ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ სექტორად.

ფაქტია, რომ ამგვარი სექტორის ფუნქციას საქართველოს ეკონომიკაში ასრულებდა და დღესაც ასრულებს ტურიზმი.

როგორც ცნობილია, ტურიზმი ეკონომიკის სხვა სექტორებს ავითარებს, რადგანაც ქვეყანაში შემოსული ტურისტები ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას, რის გამოც, ეკონომიკის სხვა სექტორების საწარმოები, გაზრდილი მოთხოვნის შესატყვისად მიწოდების გაზრდის მიზნით, ზრდიან წარმოებას.

ეს მარტივი ეკონომიკური დებულება, სამწუხაროდ, საქართველოს „სასარგებლოდ“ ძირითადად ვერ მუშაობს. საქმე ისაა, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, როცა იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, როცა ქვეყნის როგორც სამომხმარებლო, ისე სასურსათო კალათებში 80 პროცენტი იმპორტული საქონელია და მხოლოდ 20 პროცენტია საქართველოში წარმოებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა მომხმარებლური ეკონომიკა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, ქვეყანაში უცხოეთიდან შემოსული ტურისტის მიერ დახარჯული ყოველი 100 აშშ დოლარიდან, საშუალოდ, 80 აშშ დოლარი მიდის დამატებითი იმპორტის განსახორციელებლად, ქვეყნის ეკონომიკაში კი მხოლოდ 20 აშშ დოლარი რჩება. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოსთვის ნომერი პირველი სავაჭრო პარტ-

12. *What Is the US-China Trade War?* ‘SCMP’, April 13, 2020, https://www.scmp.com/economy/china-economy/article/3078745/what-us-china-trade-war-how-it-started-and-what-inside-phase (12.08.2020).

13. He L. *A US-China Trade War Is the Last Thing the World Economy Needs Now*, ‘CNN Business’, May 19, 2020, https://edition.cnn.com/2020/05/19/economy/us-china-trade-war-resume-coronavirus-intl-hnk/index.html (12.08.2020).

14. Rapoza, *K. Why Does Everyone Suddenly Want A Free Trade Deal With Georgia?* ‘Forbes’, March 5, 2020, https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2020/03/05/why-does-everyone-suddenly-want-a-free-trade-deal-with-georgia/#4ec8165750e6 (12.08.2020).

ნიორი თურქეთია, გამოდის, რომ ტურისტების შემოსვლა საქართველოში მხოლოდ ერთი მეხუთედით მუშაობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, ხოლო ოთხი მეხუთედით იმ ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, თურქეთის ეკონომიკაზეა ორიენტირებული, საიდანაც ვახორციელებთ იმპორტს. სწორედ ამიტომაა საქართველოს ეკონომიკა ე.წ. „ტურისტულ ხაფანგში“ მოქცეული.[15]

სამწუხარო ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე საქართველოში, სადაც შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს სოფლად, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის მეათედზე ნაკლებს ქმნის, თანაც მაშინ, როცა ქვეყნის მრეწველობა პრაქტიკულად განუვითარებელია. კორონომიკურმა კრიზისმა კი დაგვანახა, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლებას მაქსიმალურად შეეწყოს ხელი.

აქვე ხაზგასასმელია, რომ სოფლის მეურნეობა ვერ გახდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი სექტორი, რადგან უმთავრესად აგრარული ორიენტაციის მქონე ქვეყნები თუ რეგიონები, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკურად შედარებით განუვითარებელი არიან. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება საკმაოდ დაბალია.

იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა მიმზიდველი იყოს ჩინეთიდან გამოტანილი ქარხნების ნაწილის განსათავსებლად, გარდაუვალია არა უბრალოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, არამედ აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელზე გადასვლა. ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება დრო და სწორედ ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფადაა მისაღები ის რადიკალური ზომები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების განვითარება და მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითი გაუმჯობესება. აუცილებელია ამ სფეროში ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა და შენარჩუნება, რასაც ასევე ესაჭიროება მეცნიერთა შრომის სათანადო დაფასება.

ყოველივე ამის ფონზე კი ტურიზმიც ბევრად უფრო სასარგებლო გახდება ქვეყნისთვის, რადგან საერთაშორისო დონეზე მისი ცნობადობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ვლადიმერ პაპავა *არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი.*